

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად
საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე 2021 წლის სენაკის რაიონული (მათ
შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტრატი) სასამართლოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის მოთხოვნათა შესასრულებლად, ამ კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, სენაკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია სენაკის რაიონულ (მათ შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტრატ) სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემასა და ელექტრონული ფორმით პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

2020 წლის 07 დეკემბრიდან 2021 წლის 07 დეკემბრის ჩათვლით, სენაკის რაიონულ (მათ შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტრატ) სასამართლოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სულ შემოსული არის 19 განცხადება, კერძოდ:

ჟურნალისტიდან - 2 განცხადება;
ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრიდან - 1 განცხადება;
მოქალაქისაგან - 10 განცხადება;
ა(ა)იპ დემოკრატიის ინდექსი საქართველოდან - 1 განცხადება;
პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - 1 განცხადება;
სოციალური სამართლებრივი ცენტრიდან - 1 განცხადება;
საქართველოს სასამართლოს გუშაგიდან - 2 განცხადება;
მოქალაქეთა პოლიტიკური პარტია საქართველოდან - 1 განცხადება;

შემოსული განცხადებებიდან:

დაკმაყოფილდა - 8 განცხადება;
არ დაკმაყოფილდა - 7 განცხადება;
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 3 განცხადება;
განსჯადობით გადაეცა - 1 განცხადება;

კ ე რ ძ ო დ:

8 (რვა) განცხადება რომელიც დაკმაყოფილდა იყო შემდეგი მოთხოვნის:

1. 2013 წლიდან დღემდე, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით (ცალ-ცალკე) შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე სასამართლოში აღძრული სარჩელების რაოდენობის თაობაზე.
2. 2013 წლიდან დღემდე, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით (ცალ - ცალკე) სამსახურში/თანამდებობაზე აღდგენის შესახებ სასამართლოში აღძრული სარჩელების რაოდენობის თაობაზე.
3. 2013 წლიდან დღემდე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სამსახურში/თანამდებობაზე აღდგენის შესახებ სასამართლოში აღძრული სარჩელების საერთო რაოდენობა, სადაც საქმეებზე მოპასუხედ დასახელებული იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი.
4. 2013 წლიდან დღემდე, თანამდებობაზე (ტოლფასი თანამდებობის ჩათვლით) აღდგენის შესახებ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოტანილი გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობის თაობაზე.
5. 2013 წლიდან დღემდე, სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის და საკითხის ხელახლა განხილვის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ (სბაკ 32-ე მუხლის მეოთხე ნაწილი და/ან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 2017 წლამდე მოქმედი რედაქციის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტი). ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოტანილი გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობის თაობაზე.
6. 2013 წლიდან დღემდე, თანამდებობაზე (ტოლფასი თანამდებობის ჩათვლით) აღდგენის შესახებ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გამოტანილი გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობა, საქმეებზე სადაც მოპასუხედ დასახელებული იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი.
7. 2013 წლიდან დღემდე, უკანონოდ გათავისუფლებული პირის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდის დაკისრების შესახებ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გამოტანილი გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობა, საქმეებზე, სადაც მოპასუხედ დასახელებული იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი.
8. სენაკის რაიონული (მათ შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტრატი) სასამართლოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ განჩინებებს (დროებითი განჩინებები).
9. 2013 წლიდან დღემდე, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით (ცალ-ცალკე) შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე აღძრული სარჩელების საერთო რაოდენობა წლების მიხედვით.
10. 2013 წლიდან დღემდე, უკანონოდ გათავისუფლებული პირის სასარგებლოდ კომპენსაციის სახით დაკისრების შესახებ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გამოტანილი გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობა, საქმეებზე, სადაც მოპასუხედ დასახელებული იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
11. 2013 წლიდან დღემდე, თანამდებობაზე (ტოლფასი თანამდებობის ჩათვლით) აღდგენის შესახებ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოტანილი გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობას.

12. 2020 წლის ნოემბერსა და 2021 წლის თებერვალში სულ რამდენი საბოლოო/შემაჯამებელი გადაწყვეტილება (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კატეგორიის საქმეებზე) მიიღო სენაკის რაიონულმა სასამართლომ თვეების მიხედვით ცალ-ცალკე.
13. 2020 წლის ნოემბერსა და 2021 წლის თებერვალში სენაკის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული ყველა საბოლოო/შემაჯამებელი გადაწყვეტილების ასლები (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კატეგორიის საქმეებზე).
14. სენაკის რაიონული (მათ შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტრატი) სასამართლო, პანდემიის პერიოდში, რა ფორმით უზრუნველყოფს სასამართლო საზოგადოების დაინტერესებული წევრების, როგორც დისტანციურ, ისე სასამართლო სხდომის დარბაზში ჩასატარებელ პროცესებზე დასწრებას.
15. 2010 წლიდან დღემდე, რამდენი სარჩელი შემოვიდა სენაკის რაიონულ სასამართლოში, დანაშაულის შედეგად მიღებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.
16. 2015 წლის პირველი იანვრიდან, 2021 წლის 1 მაისამდე პერიოდში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლებით გათვალისწინებული ბრალდებით, სისხლის სამართლის საქმეები ღია სასამართლო სხდომაზე, სენაკის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის ასლებს.
17. COVID 19 პანდემიის გამოცხადების დღიდან, დღემდე რამდენი ადმინისტრაციული საჩივარი შემოვიდა ასკ 42¹⁰ და 42¹¹ მუხლებით, რამდენი მათგანი იქნა განხილული და დაკმაყოფილებული;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 37-ე მუხლების შესაბამისად ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 3 (სამი) განცხადება, რომელიც მოიცავდა შემდეგ მოთხოვნებს:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126.1 მუხლით (ოჯახში ძალადობა) განხილულ სისხლის სამართლის საქმეზე 2018, 2019 და 2020 წლებში მიღებულ განაჩენის ასლებს;
2. 2020 წლის პირველი სექტემბრიდან დღემდე სენაკის რაიონულ სასამართლოში შემოსული საქმეების ჯამური რაოდენობის შესახებ ინფორმაციას. დამატებით თითოეულ მოსამართლეს რამდენი საქმე დაეწერა და მათ შორის რამდენი საქმე განიხილა სასამართლომ.
3. თითოეულმა მოსამართლემ რა პერიოდის განმავლობაში ისარგებლა კუთვნილი შვებულებით 2020 წლის პირველი სექტემბრიდან დღემდე და ამასთან საპატიო მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციას.
4. თავმჯდომარის მიერ დადგენილი მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის ასლებს 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მასში ცვლილებების შეტანის პერიოდულობისა და საფუძვლების მითითებით, ასევე იგივე ინფორმაცია განცალკევებით 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში;
5. 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, თითოეულ მოსამართლეზე საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით განაწილებული საქმეების რაოდენობა, მოსამართლეთა შვებულებების, მათ შორის დეკრეტული

შევსრულებების მითითებით, ამასთან იმავე პერიოდის გათვალისწინებით, გთხოვთ მიუთითოთ შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით განაწილებული საქმეების საერთო რაოდენობა, გთხოვთ იგივე ინფორმაცია განცალკევებით მოგვანოდოთ ასევე 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდისათვის;

5. მოსამართლეთა თვითაქილევების/აქილევების დაფიქსირების შემთხვევებში, რა პროცენტული რაოდენობა და ვის მიერ ხდება საქმის ხელახალი განაწილება;

7. ელექტრონული პროგრამის შეფერხებისას საქმეთა რიგითობით განაწილების წესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი 2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ოქტომბრამდე მასში ცვლილებების შეტანის პერიოდულობის მითითებით;

8. 2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილების N 1/56 მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემის შემთხვევები, შესაბამისი საფუძვლისა და თარიღის მითითებით, ასევე ვინ აფასებს მითითებულ მუხლში არსებულ გარემოებების არსებობას და ვინ იღებს გადაწყვეტილებას სხვა მოსამართლისათვის დროებით გადაცემის თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 41-ე მუხლების შესაბამისად არ დაკმაყოფილდა 7 (შვიდი) განცხადება, რომელიც მოიცავდა შემდეგ მოთხოვნებს:

1. 2015 წლიდან, 2020 წლის 1 აგვისტომდე და შემდეგ 2020 წლის 1 აგვისტოდან 2021 წლის 1 აპრილამდე, რამდენი არასრულწლოვანი დაზარალებულის მიმართ იქნა გამოყენებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული დაცვის ღონისძიებები? ცალკეული ღონისძიებების გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებელიც, ანუ რამდენ შემთხვევაში იქნა გამოყენებული მოცემული მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, რამდენ შემთხვევაში მოცემული მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, რამდენ შემთხვევაში მოცემული მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და რამდენ შემთხვევაში მოცემული მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება? (ცალკეული წლების მითითებით, ხოლო 2020-2021 წლების შემთხვევაში, 2020 წლის პირველი შვიდი თვის (იანვარი-ივლისი) ერთად და დარჩენილი სხვა თვეები ერთად.)

2. 2014 წლიდან 2020 წლის 1 აგვისტომდე და 2020 წლის 1 აგვისტოდან 2021 წლის 1 აპრილამდე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ბრალდების მხარის მიერ რამდენი შუამდგომლობა იქნა დაყენებული სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ და რამდენი დაკმაყოფილდა (ცალკეული წლების მითითებით, ხოლო 2020-2021 წლების შემთხვევაში, 2020 წლის პირველი შვიდი თვის (იანვარი-ივლისი) ერთად და დარჩენილი სხვა თვეები ერთად.)

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი დაზარალებულს აძლევს უფლებას, რომ სასამართლოში მისცეს ჩვენება იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას მიადგა დანაშაულის შედეგად: შესაძლებელია თუ არა, რომ სენაკის რაიონულ სასამართლოში დაზარალებულმა ზიანის შესახებ მისცეს არა მხოლოდ გეპირსიტყვიერი, არამედ წინასწარ მომზადებული ვიდეო რგოლის გამოყენებით,

რომელიც ნაჩვენები იქნება სხდომის დარბაზში დამონტაჟებულ ეკრანზე? თუ ქონია ადგილი სასამართლოში ესეთ პრეცედენტს?

4. 2021 წლიდან დღემდე „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების“ საქართველოს კანონის „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორალური რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლისა და ამავე კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაკანონებულ უძრავ ნივთებზე დაკავშირებით დაკმაყოფილებული ყველა საქმის ასლებს საქმეებში მონაწილე პირთა პერსონალური მონაცემების (დაფარვით) დაცვით.

5. სენაკის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენებს, 2021 წლის მარტიდან დღემდე, რომელშიც:

5.1. კვალიფიკაციის ნაწილში გამოყენებულია სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილი (განცხადებაში მითითებულია 53.1-ე მუხლის მესამე პრიმა ნაწილი).

5.2. ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული იყო დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ, თუმცა აღნიშნულის შესახებ მოსამართლის მიერ განაჩენში მითითება არ მომხდარა.

5.3. დაზარალებული მიუთითებდა გამოკითხვის ოქმებში/დაკითხვისას/ წერილობით დოკუმენტაციის წარდგენისას, მის მიმართ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე, თუმცა სასამართლოს მიერ არ გაზიარებულა.

6. სენაკის რაიონული სასამართლოს სხდომათა განრიგი 2021 წლის 18 ოქტომბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით, საქმის დასახელების, განმხილველი მოსამართლის, სხდომის დარბაზის ნომრისა და პროცესის დაწყების დროის მითითებით (დისტანციური/არადისტანციური).

7. 2021 წლის 20 ოქტომბრიდან 2021 წლის 29 ოქტომბრის ჩათვლით მარტვილის მაგისტრატ სასამართლოში დისტანციურად დანიშნული სხდომების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება.

8. კვლევის ფარგლებში და მიზნებისთვის სტატისტიკურ ინფორმაციას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2020 წლის 22 მაისს შესული ცვლილებების შესაბამისად 332.5 მუხლის ამოქმედებიდან დღემდე, სულ რამდენი სისხლის სამართლის საქმეა ნაწარმოები დისტანციურ რეჟიმში, მათ შორის, შესაძლებლობის შემთხვევაში ცალ-ცალკე მიეთითოს რამდენი აღკვეთის ღონისძიების, წინასასამართლო და არსებითი განხილვის სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში?

9. ასევე ნებისმიერი სახით სტატისტიკური თუ სხვა საჯარო ინფორმაცია, რომელსაც სასამართლო გაუზიარებს სისხლის სამართლის საქმეების დისტანციურ წარმოების შესახებ?

1 (ერთი) განცხადება განსჯადობით იქნა გადაცემული სხვა სასამართლოსათვის, ვინაიდან მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა არ განეკუთვნებოდა სენაკის რაიონულ სასამართლოს.

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგი საჯარო მოსამსახურის - სენაკის რაიონული სასამართლოს მენეჯერის - საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის - I რანგის - პირველადი სტრუქტურული

ერთეულის ხელმძღვანელის შალვა კაჭარავას მიერ, რომელიც - 2012 წლის 06 იანვრიდან სენაკის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეა.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა სენაკის რაიონულ სასამართლოში არ შემოსულა. საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ საჩივარი არ შემოსულა.

საანგარიშო პერიოდში საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის და პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლისა და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის“ შესახებ კანონის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების საფასური შეადგენს - 113, 30 ლარს

შალვა კაჭარავა

**საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ
გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე**

**სენაკის რაიონული სასამართლოს მენეჯერი -
საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების
უფროსი - I რანგის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი**